ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9723242001**

თარიღი:**30/08/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი N14

დ.ლენტეხი. 30/აგვისტო/2022წ

მიმდინარე წლის 30 აგვისტოს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 12 (თორმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 9(ცხრა) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდა: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსის მ/შ ნაირა ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა მოხდა მერის 2023 წლის N96-962323623 მომართვის საფუძველზე და გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.,,2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ხუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N 97.97230902 განკარგულების N1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ს.ბენდელიანი/.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა. ღია კენჭისყრით მომხრე - 12 და წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მომხსენებელმა მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა სხდომის წევრებს მოახსენა, რომ როგორც ცნობილია მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და ყველა სოფელში ყველა პროექტი შეირჩა კრების - მოსახლეობასთან შეხვედრის საფუძველზე, ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული მაჟორიტარი დეპუტატები და მერის წარმომადგენლები. გამოიკვეთა სამი ადმინისტრაციული ერთეულის ხუთი სოფელი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შესაბამისი კომისიის, მაჟორიტარი დეპუტატების და თემის წარმომადგენლების გადაწყვეტილებით შევიდა ცვლილება:

1. ჩიხარეშის ადმინისტრაციული ერთეული -სოფ. ჩიხარეში- იყო სასაფლაოების შეღობვა და შეიცვალა გოგოშის მჟავე წყლის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაციით;

2. ჩოლურის ადმინისტრაციული ერთეული - სოფ. დურაში- იყო სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - შეიცვალა მთა მაიდანის მიმართულებით სამეურნეო გზის რეაბილიტაციით; სოფ. საყდარში იყო სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და შეიცვალა გზის გასწვრივ მავთულბადის მოწყობით.

3. ჟახუნდერის ადმინისტრაციული ერთეული - სოფ. ლეკოსანდში იყო მოსაცდელის რეაბილიტაცია და შეიცვალა იცხრალის მიმართულებით სამეურნეო დანიშნულების გზის რეაბილიტაციით; სოფ. ხერია - იყო წყლის სისტემის მოწყობა და შეიცვალა სასაფლაოების შემოღობვით.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი:

,, 2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის N 97.97230902 განკარგულების N1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -12 და წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი